

საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის  
პროგრამა (სადისკუსიო მასალები)

პუნქტები 416-431 საპენსიო სისტემის რეფორმა

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სადისკუსიო მასალები არის პირველი პრინციპული მცდელობა საქართველოსათვის მასშტაბური ხასიათის ეკონომიკური პროგრამის შექმნისა, რომელიც ვერ ასცდა ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სუბიექტურ და ობიექტურ პრობლემებს. სამწუხაროდ, ისევ დასტურდება, რომ ჩვენი ქვეყანა საკმაოდ სუსტია ამ ამოცანის გადასატრედად, რაც პრინციპში გამორიცხავს სწრაფი შედეგების მიღწევას.

სადისკუსიო მასალების ეს ნაწილი მკაფიოდ აჩვენებს ჩვენს პრობლემებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ღია და თავისუფალი ბაზრისადმი სუსტი რწმენა. საპენსიო რეფორმის ეს ვერსია ზუსტად აჩვენებს ჩვენი ქვეყნის, ხელისუფლებისა და საზოგადოების ყოყმანურ დამოკიდებულებას, რასაც მოაქვს უფრო მეტი ეკონომიკური პრობლემა, ვიდრე იყო თვით სოციალიზმი.

როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია გაცილებით უკეთესი პროექტის მომზადება, რადგანაც საკმაოდ სუსტია, ხარისხობრივადაც და ფინანსურადაც, ის ძალები, რომელთაც შეუძლიათ უკეთესი პროექტის მომზადება. სასურველი იქნებოდა ასეთი ძალების გამოვლენისა და მხარდაჭერისათვის მეტი ძალისხმევა, მ.შ. მსოფლიო ბანკის ოფისის მხრიდან.

416). 1. პუნქტში აღნიშნულია აღრიცხვიანობის მოწესრიგების შესახებ, რომლის შედეგად პენსიონერთა რაოდენობა შემცირდა 860 ათას ადამიანამდე.

*უნდა ითქვას, რომ ახალი სისტიემის ამოქმედების შედეგად ამ ადამიანთა რიცხვი მაინც საეჭვო იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ არსებული "მოწესრიგებული" აღრიცხვიანობის შედეგად შეუძლებელია დინამიკის დანახვა, მ.შ. პენსიონერთა რაიონთაშორისი გადაადგილების თვალსაზრისით, ან ახალ პენსიონერთა აღრიცხვის და ძველთა გარდაცვალების თვალსაზრისით. ასევე საეჭვოა დავალიანების შემცირების ტენდენცია, იმ დროს, როდესაც 2001 წელი ისევ ახალი დავალიანებით დასრულდა<sup>1</sup>.*

417) 2. ამ პუნქტში აღნიშნული პენსიონერთა რეგისტრაციის პროცესი, ისევე, როგორც თვით სისტემა, პირთათვის საიდენტიფიკაციო ბარათების მინიჭების თვალსაზრისით საკმაოდ ეჭვებს იწვევს.

*I. საქართველოში მოქალაქეთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის საკითხი მწვავედ დგას. ამ სფეროში არსებული მდგომარეობა პრობლემებს უქმნის არა ერთ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციას და საქმიანობას. მ.შ. საგადასახადო, საარჩევნო, სტატისტიკის, ემიგრაციის და ა.შ. ეს ორგანიზაციები ცალკე-ცალკე ცდილობენ გადაწყვიტონ ეს პრობლემა, საკუთარი რეგისტრაციის სისტემის შემოღების გზით. პრობლემის ასე გადაწყვეტა შესაძლებელია ნახევრად-გონივრული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი იქნებოდა ერთმანეთთან შეთანხმებული და ეკონომიკურად გამართლებული. სამწუხაროდ ეს ასე ვერ იქნება. ყველა ეს დაწესებულება შეეცდება იქონიოს საკუთარი სიები, "საკუთარი" ხარჯებით და პრობლემებით. ყველაზე დიდი პრობლემები დაიწყება ამ*

<sup>1</sup> 2001 წლის მიხედვით, სოციალური დაზღვევის ფონდის შემოსავლები 14 მილიონი ლარით ნაკლები იყო დაგეგმილზე, მ.შ. 12 მილიონი საკუთარი შემოსავლებია და 2 მლნ. ტრანსფერი

სიების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თუნდაც ტექნიკური თვალსაზრისით.

II. მოქალაქეთა რეგისტრაციის სისტემა უმჯობესია აეწეოს საგადასახადო ინსპექციასთან, რაც გამართლებული იქნება სამი მიზეზით:

- 1) საგადასახადო ინსპექციას ურთიერთობა აქვს ყველაზე მეტ ადამიანთან, ეს განსაკუთრებით გამოჩნდება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციული სისტემის ამოქმედების შემდეგ;
- 2) საგადასახადო ადმინისტრაცია ერთადერთია, რომელსაც უფლებამოსილება, ვალდებულება და დაინტერესება აქვს რეგისტრაციაში გაატაროს ყველა ადამიანი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პირთა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დროს, ადმინისტრირების მკაცრი ზომების გამოყენების შესაძლებლობებით;
- 3) საქართველოში საგადასახადო შემოსავლების დეკლარირების სისტემა ვერ იმუშავებს სრულყოფილი და მოქნილი რეგისტრაციის სისტემის გარეშე.
- 4) ასეთი სისტემა ფართოდ აპრობირებული ევროკავშირში.

418) 3. ამ პუნქტში აღნიშნული ღონისძიებები საკმაოდ ხარჯიანი “სიამოვნებაა”. საქართველო რომ იყოს მდიდარი ქვეყანა, შესაძლებელია ეს ხარჯი გამართლებულად ჩათვლილიყო. სამწუხაროდ ტექსტიდან არ ჩანს არც ამ ღონისძიებათა ხარჯი, არც მისი გამტები. გასარკვევია ამ ღონისძიებათა ეკონომიკური სტატუსი და ფინანსური წყარო – კერძოდ, გრანტია, კრედიტი, საბიუჯეტო თუ მოსახლეობის პირდაპირი ხარჯი. ამ მონაცემების გარეშე ამ საკითხის განხილვა შეუძლებელია. სამწუხაროდ ასეთი ინფორმაცია არც სხვა ოფიციალური წყაროებით არ მოიპოვება.

საკუთარი გათვლებით ასეთი ხარჯი არ უნდა იყოს მცირე: რეგისტრაცია 2-3 მილიონი აშშ დოლარი, საიდენტიფიკაციო ბარათები: ასევე 2-3 მლნ აშშ დოლარი. სულ დაახლოებით 5 მლნ აშშ დოლარი. აქ გასათვალისწინებელია ამ პროცედურების ხარისხიც, რომლის გაუმჯობესება იწვევს ამ ხარჯების ზრდას. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წამოწყებული ასეთი პროექტები, რომლებიც ვერ განხორციელდა, გულისხმობდა რამოდენიმეჯერ მეტ ხარჯს.

პუნქტში აღნიშნული სახელფასო დეკლარაციების სისტემა წარმოშობს გაუგებრობებს. საინტერესო იქნებოდა მისი დასაბუთება, რადგანაც პირველი: ეს პირდაპირ კავშირშია საგადასახადო ადმინისტრაციის ფუნქციებთან და ფაქტიურად შეადგენს მის გამეორებას და მეორე: სამდერძიანი საპენსიო სისტემა აბსურდად აქცევს ამ პროცესს.

419) 4. როგორც ჯანმრთელობისა და დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ გაგრძელებული ინფორმაციიდან ჩანს (რომელიც, უნდა ვიგულისხმობთ, შეთანხმებულია მსოფლიო ბანკთან) პენსიის ოდენობა 10 წლის შემდეგ ძნელად თუ მიაღწევს 20 ლარს და მხოლოდ 20 წლის შემდეგ – 35-40-ს<sup>2</sup>. კარგი იქნებოდა, ამ პუნქტში აღნიშნული პენსიათა დიფერენციაციის შესაძლებლობა განხილული ყოფილიყო ამ კუთხითაც. ჩემი წარმოდგენით, ასეთი დიფერენციაცია, ჩვენს სახელმწიფო სექტორში, პრაქტიკულად შეუძლებელია.

420) 5. ამ და წინა პუნქტით დიფერენციაცია თითქოს ნიშნავს სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეორგანიზაციას და კერძო სექტორის დამატებას, რაც ეწინააღმდეგება ლოგიკას, რადგანაც ამ წესით დიფერენცირებულ საპენსიო უზრუნველყოფად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ნებისმიერი საინვესტიციო საქმიანობა. უფრო ლოგიკური იქნებოდა ასეთ პროცესს დაერქვას თავისი სახელი:

<sup>2</sup> საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული მასალებიდან, 2001 წლის 8-9 დეკემბერი, უდაური, კონფერენცია: საპენსიო რეფორმა საქართველოში

*შერეული საპენსიო უზრუნველყოფა*. თუმცა, არსებული (და შემოთავაზებული) სახელმწიფო საპენსიო სისტემა, ე.წ. Pay-As-You-Go, მხოლოდ ფორმალურად არის საპენსიო და შეადგენს სინამდვილეში სოციალური დახმარების სისტემას. იგი დამყარებულია იძულებით სოლიდარობაზე და ამის გამო, უკვე ყველა ქვეყანამ აღიარა მისი არაეფექტიანობა.

421) 6. ამ პუნქტით განსაზღვრულია სავალდებულო საპენსიო დაზღვევის სქემაზე გადასვლის თარიღი. სამწუხაროდ, პრაქტიკიდან ჩანს, რომ მთავრობას და საზოგადოებას არა აქვთ უნარი დააჩქარონ ეს პროცესი. თუმცა, სავალდებულო შედეგები ამ პროცესის დაგვიანებისა ცხადია: ყოველწლიურად რამოდენიმე ათეული ათასი ადამიანი ემატება იმათ სიებს, რომლებსაც სხვა არანაირი შანსი არა აქვთ, გარდა 14-ლარიანი სახელმწიფო დახმარებისა. დღევანდელი პოზიციით, სადაზღვევო საპენსიო სისტემაში უკვე ვეღარ მოხვდებიან 1952 წელზე (ეს მონაცემი მიახლოებითია) ადრე დაბადებული პირები, რადგანაც ისინი უკვე ვეღარ მოახერხებენ შესაბამისი დანაზოგის შექმნას. ცხადია, ყოველი წლით ამ პროცესის გადადება ზრდის ასეთი ადამიანების რიცხვს, რომელთაც, ბუნებრივია არანაირი სოლიდარობის სურვილი არ უჩნდებათ. მთავრობას არ გააჩნია არანაირი ბერკეტები დააჩქაროს ეს პროცესი, მაგრამ დასაწყისიც საკმაოდ ბუნდოვანია.

422) 7. სოციალურ გადასახადებს სინამდვილეში არა აქვს გადასახადის სახე. ეს არის სოციალური ძალადობის დაკანონება, რომელსაც მოყვება ადექვატური რეაქცია გადასახადის – გადაუხდელობა. ასეთი “გადასახადის” გადახდით დაინტერესებული არავინ არ არის, არც დამქირავებელი, არც დაქირავებული და არც სახელმწიფო ადმინისტრაცია. შესაბამისად, აუცილებლად ჩანს ამ გადასახადის შეცვლა სადაზღვევო შენატანით, რომელსაც გააკონტროლებდა შესაბამისი ორგანიზაცია. რაც შეეხება ინვალიდთა (invalid) დახმარების სისტემას, აქ არსებობს ორი გზა – უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად აგდება ამ სქემიდან სახელმწიფო სოციალური დახმარების სისტემას და გადასცემს მას საგადასახადო ადმინისტრაციას და ხაზინას, და ან სოციალური ხარჯების მაღალ საბიუჯეტო პრიორიტეტად აღიარება, ამ პირთა დახმარება ადგილობრივი და/ან ცენტრალური ბიუჯეტებიდან.

სახელმწიფო საპენსიო (დახმარების) სისტემის არსებობა უნდა იქნას გამაგრებული სახელმწიფო შიდა ვალის და ხაზინის კანონებით, რომელიც მოაწესრიგებდა მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების მომსახურებას. ამ კანონმდებლობის გარეშე, არც სახელმწიფო და არც კერძო დაზღვევის სისტემა არ იქნება დაცული ჩინოვნიკების მიერ მოსახლეთა რეალური თუ ვირტუალური სახსრების გაფლანგვისაგან.

423) საპენსიო სისტემის რეფორმა არის ყველაზე მასშტაბური სოციალური და უფრო მეტად კი, ფინანსურ-ეკონომიკური ღონისძიება, რომელიც ჩადებულია პროგრამის სადისკუსიო მასალებში. ამ პუნქტში აღნიშნულია, რომ ამ რეფორმის პროექტი შემუშავდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად. თუმცა ეს იწვევს საკმაოდ ეჭვს, რადგანაც ამ ორგანიზაციების პროექტები ან თვალსაზრისის გამომხატავი რაიმე დოკუმენტი თუ არსებობს, არავის უნახავს. ეს ირიბად დასტურდება იმითაც, რომ ეს ნაწილი სადისკუსიო მასალებში საკმაოდ პატარა ადგილს იკავებს, ხოლო რაიმე სახის ეკონომიკური დასაბუთება საერთოდ არ არის.

424-431) ამ პუნქტებში ჩამოთვლილი ღონისძიებები თარიღებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ განწყობილებებს. გაუგებარია, 120-ე გვერდის დასაწყისში აღნიშნული სათაური – არ ჩანს რის ალტერნატივაზეა საუბარი.

426) ამ პუნქტში ესევე ჩამოთვლილია წინ უკვე აღნიშნული ზოგიერთი ღონისძიება, რომელთა ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება ისევე არ ჩანს. განსაკუთრებით

საინტერესო იქნებოდა დღევანდელი საპენსიო დავალიანების დაფარვისა და მომავალში თავიდან აცილების გზების დანახვა.

428-429) პუნქტები მოიცავს საპენსიო რეფორმის ე.წ. I ეტაპს, რომელიც არ ემთხვევა 424-ე პუნქტში აღნიშნულს ვადებით. აქ ჩამოთვლილი ღონისძიებები “ჩაყრილია” არამიზანმიმართულად. ისევ აღნიშვნის ღირსია ამ პუნქტში ჩამოთვლილი (უმეტესად აუცილებელი) ღონისძიებათა და სისტემის ფინანსირების წყაროები (რომელიც არ ჩანს). ასევე აუცილებლად ჩანს ყველა ჩამოთვლილი პროცესისა და პროცედურის დასაბუთება, მიუხედავად მათი საჭიროების თვალნათლივობისა.

430) II ეტაპი კიდევ უფრო გაუგებარია. იგი განსხვავდება 424-ე პუნქტისაგან ვადებით. აბსოლუტურად დაუსაბუთებელია “III პილარის” ხელშეწყობის გადავადება, თუნდაც ერთი დღით. ნებაყოფლობითმა საპენსიო დაზღვევამ შესაძლებელია მოგვცეს უზარმაზარი გამოცდილება. ამავე დროს მცდარია იმ ადამიანებისათვის პრობლემების შექმნა, ვისაც აქვს საშუალება ამ სისტემაში დღესვე ჩაერთოს.

431) ამ პუნქტში, ისევე როგორც წინა სხვა პუნქტებში, მოცემული გვაქვს მხოლოდ ლოზუნგები, რომელთა შორის ზოგი აზრს მოკლებული არ არის, თუმცა არ ჩანს ერთიანობა, თანამიმდევრობა, კონკრეტულობა და მიზანმიმართულობა. საერთოდ გამორჩენილია შედეგები, რომელსაც ველოდებით ამ რეფორმის განხორციელებისაგან.

პუნქტი განსაზღვრულია 2005 წლიდან “II პილარის” ჩამოყალიბებისადმი ხელშეწყობა, რაც არ ემთხვევა 424-ე პუნქტით განსაზღვრულს. წარმოუდგენელია ასეთი ვადით “საკანონმდებლო ბაზის საბოლოო ჩარჩოების შექმნისა” და “ჩამოყალიბებისადმი ხელშეწყობის” ასეთი ვადით გადადება.

დოკუმენტის ამ ნაწილში დაშვებულია უზუსტობები და ტექსტური გაუგებრობები. ასე მაგალითად, 120-ე გვერდზე, 426-ე პუნქტში საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტის და სადაზღვევო ვალდებულებების გამიჯვნაზე, რომელიც უნდა ჩაითვალოს ამ მასალის დადებით მხარედ, თუმცა შემდეგი ტექსტი აბათილებს ამ განწყობას – გაუგებარია რა კავშირი აქვს საპენსიო დაზღვევას “სავალდებულო სოციალურ მოწოდებებთან”.

429) პუნქტში, 121-ე გვერდზე, სწორადაა მიგნებული ამ პროგრამის საპენსიო ნაწილის რეალური მიზანი “რეფორმების პროცესის დეკლარირება”. მიუხედავად კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის არსებობის 3-წლიანი ისტორიისა, ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, და როგორც ჩანს კონკრეტული გეგმა არც არსებობს. რაც შეეხება გამჭვირვალებას, წარმოუდგენელია ასეთი გამჭვირვალება, როდესაც საპენსიო რეფორმის პროექტის შესახებ ინფორმაციას დაინტერესებული პირებიც ვერ იღებენ.

ამავე პუნქტში, 122-ე გვერდზე გაუგებარია რა საერთაშორისო სტანდარტებზეა საუბარი.

430) პუნქტში ბოლო აბზაცი ისეა დაწერილი თითქოს “საფინანსო ბაზრის ინსტრუმენტების ხელშეწყობა” და “III პილარი” ერთი და იგივე პროცესია.

მთლიანად დოკუმენტში მოცემულია 3-მიმართულებიანი საპენსიო უზრუნველყოფის სქემა, რაც მისასაღმებელია, თუმცა აუცილებლად ჩანს ამ სქემის დაკონკრეტება, რადგანაც ასეთი 3-მიმართულებიანი საპენსიო უზრუნველყოფა არსებობს სხვადასხვა ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებული ტიპის, სქემების ზომების, სახსრების განთავსების და სხვა პირობების მიხედვით. ამ ტექსტში მოცემული მასალის მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია დაინახო რეალური მიზნები და ამოცანები, რის გამოც მისი მხადაჭერა გაუჭირდებოდა ყველაზე გათვითცნობიერებულ ადამიანსაც. თუმცა დოკუმენტში მოცემული მასალა უკვე მცირე პროგრესია.

პროგრესულ ნაბიჯებად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ამ დოკუმენტში აღნიშნული შემდეგი დებულებები:

- აღრიცხვიანობის მოწესრიგების შესახებ, 417-ე პუნქტი;
- საპენსიო სისტემის სადაზღვევო პრინციპზე გადასვლის შესახებ, – 418-ე;
- მართვის ავტომატიზირებული სისტემის და კომპიუტერული ქსელის შექმნის შესახებ, – 419-ე;
- ყველაზე გაჭირვებული ფენების იდენტიფიცირების და ძირითადი სოციალური დახმარების პროგრამების მათდამი მიმართვის შესახებ, – 429-ე;
- საპენსიო დაზღვევის და საპენსიო დახმარებების ცნებების გამიჯვნის შესახებ, – იქვე;
- საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და საგადასახადო შეღავათების დაწესების შესახებ, – იქვე.

ამ ბოლო დებულებას არასწორი სახელი აქვს. ნაცვლად საგადასახადო შეღავათებისა, უნდა ეწეროს სწორი საგადასახადო პოლიტიკა. იგულისხმება საპენსიო თანხებზე გადასახადების დაკისრება მისი რეალურ შემოსავლად ქცევის მომენტში. დოკუმენტში ასევე არის ზოგიერთი სხვა დებულებაც, რომელიც სწორად განმარტების შემთხვევაში, შესაძლებელია იქნას აღქმული სწორ და პროგრესულ ნაბიჯად. ყველა ამ დადებით მომენტს ისეთი ბუნდოვანი ხასიათი აქვს და ისეა მიმოფანტული დოკუმენტის შიგნით, რომ ადამიანი, რომელიც ამ რეფორმის უცხოურ გამოცდილებას არ იცნობს, აუცილებლად უარყოფითად შეაფასებს.

ზემოთაც აღინიშნა, რომ მთლიანობაში ეს დოკუმენტი, ამ ნაწილში ატარებს პროგრესულ ხასიათს, მაგრამ იმის გამო, რომ არ არსებობს მისი კონკრეტული დასაბუთება, იგი არის წმინდა დეკლარაციული ხასიათის, რაც მას უკარგავს აქტუალობას და მკითხველს რეფორმის წინააღმდეგ განაწყობს. როგორც ჩანს, სადისკუსიო მასალების შემდგენლები არ იყვნენ მომარაგებული მეტი საინფორმაციო საშუალებებით და რაც მთავარია ამ რეფორმის თეორიული და ფინანსური დასაბუთებით, მისი ავტორებისაგან.

## საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემები და მისი საგადასახადო რეჟიმი

### I. რეფორმის არსი

1. რეფორმა ორიენტირებული უნდა იყოს ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაზე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველზე და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად;
2. საპენსიო უზრუნველყოფა უნდა გადავიდეს დაზღვევის პრინციპზე, რაც გულისხმობს მოსახლეობის მიერ საკუთარი საპენსიო თანხების დაგროვებას საპენსიო ანაბრებზე, რომელიც განთავსდებოდა მაღალი ლიკვიდურობისა და დაბალი რისკის ფასიან ქაღალდებსა და დეპოზიტებში, უცხოური კომპანიების მიერ გადაზღვევის აუცილებლობით.
3. ერთმანეთისაგან მყარად უნდა გაიმიჯნოს დღევანდელი საპენსიო ასაკის პირთა დახმარების სისტემა და საპენსიო სისტემა.
4. დღევანდელი საპენსიო ასაკს მიღწეული პირების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს საარსებო მინიმუმთან მიახლოებული დახმარების გაცემით, რომლის ფინანსური წყარო შეიძლება იყოს:
  - ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები, რომლისათვისაც ეს ხარჯი უნდა იყოს ერთ-ერთი უმაღლესი პრიორიტეტის მქონე, მინიმუმ 10 წლის განმავლობაში,
  - სახელმწიფო შიდა თუ გარე ვალი. ასეთი ვალი უნდა იქნას აღებული გრძელვადიანი გათვლით,
  - კერძო საპენსიო სახსრების სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განთავსების შედეგად მიღებული სახსრები,
  - ფასიანი ქაღალდები ან ქონება, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ადმინისტრაციის საკუთრებაში.
5. ინვალიდების დახმარების სახსრები ასევე უნდა იქნას გამოყოფილი ცენტრალური (შესაძლებლობების შემთხვევაში მუნიციპალური) ბიუჯეტიდან, ასეთი ხარჯებისათვის მაღალი პრიორიტეტის მინიჭების გზით.
6. სხვა ნებისმიერი სახელმწიფო დახმარების პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ცენტრალური და/ან მუნიციპალური ბიუჯეტიდან, შესაძლებლობების ფარგლებში.
7. სახელმწიფო ადმინისტრაციამ თავის თავზე უნდა აიღოს მხოლოდ იმ პირთა საპენსიო დახმარება, რომლებიც საპენსიო ასაკს მიაღწევენ 2020 წლამდე.

საპენსიო უზრუნველყოფა უმოკლეს ვადაში უნდა გადავიდეს კერძო სადაზღვევო-დაგროვებით პრინციპზე. I რიგის ამოცანაა ასეთი პრინციპი ამოქმედდეს ნებაყოფლობითი წესით, ხოლო სისტემური მზადყოფნის შემთხვევაში – სავალდებულო წესითაც.

### II. საპენსიო რეფორმისათვის აუცილებელი საგადასახადო რეჟიმი:

კერძო საპენსიო უზრუნველყოფის დასანერგად აუცილებელია შემდეგი საგადასახადო რეჟიმი:

- ფიზიკური პირის საპენსიო სადაზღვევო შენატანის, საგადასახადო ბაზიდან გამოსაქვით ხარჯებად აღიარება,
- საპენსიო დანაზოგების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა მოხდეს მხოლოდ ამ სახსრების მიღების მომენტში,
- საპენსიო დანაზოგებზე დამატებული სარგებელი არ იბეგრება.
- საპენსიო დანაზოგის საპენსიო ასაკამდე მიღწევის დრომდე გამოყენების შემთხვევაში, ძირითადი ნაწილი და დამატებული სარგებელი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით შესაბამისი განაკვეთებით;

- საპენსიო დაზღვევის განმახორციელებელი და ამ სახსრების განმკარგავი პირები დაიბეგრებიან სადაზღვევო და საფინანსო საქმიანობისათვის დაწესებული რეჟიმით.
- მნიშვნელოვანი იქნებოდა ასევე, ფიზიკურ პირთა შემოსავლების საგადასახადო ბაზიდან გამოიქვითოს მათ მიერ ახლო ნათესავი მოხუცების შენახვაზე გაღებული სახსრები, საარსებო მინიმუმის ოდენობით, ამ შემთხვევაში სახელმწიფო დახმარება ასეთი პირისათვის (პენსიონერისათვის) შეჩერდება.
- გადაზღვევისათვის ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის შექმნა.

### III. დღევანდელ ეტაპზე გასატარებელი ღონისძიებები:

1. მოქალაქეთა აღრიცხვის მოწესრიგება;
2. სახელმწიფო ფინანსური წესრიგის დამყარება;
3. სახელმწიფო შიდა ვალის საკითხის მოწესრიგება;
4. ფასიანი ქაღალდების სისტემის შექმნა და მოწესრიგება;
5. გაკოტრების ამოქმედება;
6. ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევის სისტემის სტიმულირება მასში გადარიცხული სახსრების პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანით და ამ თანხების საშემოსავლო გადასახადით მხოლოდ იმ დროს დაბეგრით, როდესაც იგი ხდება შემოსავალი და ამავე დროს ამ სახსრების სოციალური გადასახადიდან მთლიანად გათავისუფლება. ეს ცვლილებები უნდა გატარდეს დაუყოვნებლივ.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების დროულად გატარების შემთხვევაში კერძო სავალდებულო საპენსიო დაზღვევის განხორციელება შესაძლებელი იქნება დაწყებულ იქნას 2-3 წელიწადში.

### IV. ალტერნატიული ვარიანტი:

არსებული სოციალური გადასახადი (აქაც) უქმდება. მის ნაცვლად სოციალური უზრუნველყოფის ფონდში მიემართება სახსრები გამოქვითული ფიზიკურ პირთა შემოსავლებიდან. ასეთი ანარიცხი არ უნდა აღემატებოდეს 9%-ს, ხოლო 5 წლის განმავლობაში შემცირდეს 4%-მდე და ხოლო შემდგომ 4 წელიწადში გაუქმდეს. სახელმწიფო ფონდში ჩარიცხული 9%-ს პარალელურად კერძო ფონდებში გადარიცხული საპენსიო შენატანიც I წელს შეადგენს 9%-ს და 10 წლის შემდეგ მისი ოდენობა უნდა ავიდეს მაქსიმუმ 12%-მდე. ასეთ შენატანზე საშემოსავლო გადასახადი არ ვრცელდება მის გამოყენებამდე, ხოლო დამატებული სარგებელი საერთოდ არ იბეგრება.

სახელმწიფო ფონდში შესული სახსრები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ არსებული საპენსიო ასაკს მიღწეული პირების დახმარების უზრუნველყოფისათვის. ინვალიდების დახმარება გაიცემა ბიუჯეტიდან.

არსებული რეჟიმით: 100 ლარი სახელფასო ხარჯიდან გადასახადია 40,5 ლარი. დამსაქმებელსა და დაქირავებულს არანაირი ინიციატივა არა აქვთ გადაიხადონ მაღალი ტარიფი. დამსაქმებელს გააჩნია უკუინიციატივა – არ გაზარდოს დასაქმებულის შემოსავალი და შესაბამისად, მასზე მიბმული გადასახადები, მ.შ. დღგ. ასეთი თანხები მთლიანად ვარდება საგადასახადო რეჟიმიდან.

ახალი მეთოდით: 100 ლარი სახელფასო ხარჯიდან გადასახადი იქნება 28 ლარი, აქედან 9 ლარი წავა პირდაპირ გასაქმებულის საკუთარ ანგარიშზე. 12,5 ლარი რჩება დამსაქმებელს როგორც საბრუნავი ფინანსური რესურსი.

ეს ქმნის დასაქმებულის დაინტერესებას მოსთხოვოს დამსაქმებელს, ლეგალიზება და მაქსიმიზირება გაუკეთოს მის რეალურ ანაზღაურებას. ეს ზრდის საშემოსავლო გადასახადის ბაზას და ამავე დროს დღგ-ს ბაზასაც.

## V. სახელმწიფო საპენსიო სისტემის პრობლემები:

1. დემოგრაფიული დინამიკა: შობადობის სიმცირე და ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა;
2. პენსიების ზრდის შეუძლებლობა;
3. დავალიანების ზრდა;
4. საპენსიო სახსრებით საბიუჯეტო და სხვა მანიპულაცია;
5. საპენსიო სახსრების მაღალი დანაკარგები;
6. იძულებითი სოლიდარობა;
7. მაღალი გადასახადი;
8. კერძო საკუთრების დისკრიმინაცია – მემკვიდრეობის დაკარგვა;
9. პოლიტიკური ჩარევა და მანიპულაცია;
10. ინფლაციისგან დაუცველობა;
11. პასუხისმგებლობის არარსებობა საკუთარ პენსიაზე;
12. საპენსიო ხარჯების არგამლეთა დიდი რაოდენობა;

## VI. კერძო სისტემის უპირატესობანი:

1. საკუთარ სიბერეზე პირადი პასუხისმგებლობა;
2. პენსიის მიმაგრება საქმიანობასა და შემოსავლებზე;
3. დასაქმებულის მაღალი ინიციატივა და შემოსავლების ლეგალიზების ზრდის ტენდენცია;
4. კერძო საკუთრების, მ.შ. მემკვიდრეობის უზრუნველყოფა;
5. საინვესტიციო სახსრების უფრო ეფექტიან ხელში გადასვლა;
6. საინვესტიციო ბაზრის სტიმულირება და გაფართოვება;
7. ადმინისტრაციის ხარჯების შემცირება კონკურენციის საშუალებით;
8. საპენსიო სახსრების ინფლაციისგან დაცვა;
9. სახსრების შენახვის საიმედოობა;
10. გადამხდელთა ოდენობის ზრდა, “არგადამხდელთა” ამოგარდნა საპენსიო ხარჯებიდან;

## საპენსიო ფონდის რეფორმა

(პოზიცია)

საპენსიო უზრუნველყოფა საქართველოში განსაკუთრებულად მას შემდეგ გართულდა, რაც სსრკ დაიშალა. შედეგად არამარტო აირია სისტემა, არამედ დაიკარგა ის დანაზოგები, რომლებიც იქნა შეგროვილი ჩვენი მოსახლეობის მიერ გასულ ათწლეულებში. აქ განსაკუთრებით გამოსაყოფია ერთი გარემოება – სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოს ცხადია ეკუთვნოდა მისი წილი საპენსიო სახსრებიდან. თუმცა ჩვენი მთავრობის მიერ ხელმოწერილი “ნულოვანი ვარიანტის” მოქმედების შედეგად ეს უკვე აღარ არის განხილვის საგანი. აქვე უნდა დაემატოს ისიც, რომ ეს ანგარიშები ძირითადად ვირტუალური იყო და რაიმე რეალურ სახსრებს არც მოიცავდა, აქედან გამომდინარე მისი დაკარგვის შანსი დიდი იყო იმ შემთხვევაშიც კი, სსრკ რომ არ დაშლილიყო.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს გადანაწილებითი საპენსიო სქემა. ეს სქემა დამყარებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპზე, რაც ნიშნავს იმას, რომ პენსიონერებს პენსიები გაეცემათ დღეს მომუშავეთა მიერ გადახდილი გადასახადის ხარჯზე. ცხადია სოციალიზმის დროს ასეთი გადასახადის ამოღება გაცილებით მარტივი იყო, ვიდრე დღეს – არც ერთ კერძო კომპანიას თუ მის მიერ დაქირავებულ პირს არ გააჩნია სურვილი გადაუხადოს რაიმე “ზედმეტი” თანხა მთავრობას.

დღევანდელ ვითარებაში, სახსრები, რომელიც გაიცემა პენსიონერთათვის, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, იმდენად მცირეა, რომ არც კი შეიძლება მას რეალური პენსია დაარქვა, ეს უფრო წააგავს სოციალურ დახმარებას – “რითაც შეგვიძლია”. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დგას რეალური საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა დაეყრდნოს დაგროვებით სქემას.

იმისათვის, რომ გავერკვიოთ რა პრობლემები აქვს არსებულ საპენსიო სისტემას, ჩამოვთვალოთ მისი სუსტი მხარეები:

1. გადასახადის ამოღება ხდება მხოლოდ ოფიციალურად დასაქმებულებისაგან, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ, დაახლოებით 700,000 პირი, არ ხდება:
  - თვითდასაქმებულებისაგან, მ.შ. სოფლის მეურნეობაში (200-300 ათ.პირი),
  - გრანტების ფარგლებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულებისაგან (5-10 ათ. პირი),
  - საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების ხარჯზე მცხოვრები პირებისაგან (200-300 ათ.პირი);
2. არსებული მაღალი გადასახადები:
  - ერთი მხრივ დამქირავებელს უბიძგებს მისი დამალვისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, მთავრობას მისი გაზრდისკენ.
  - ეს ყველაფერი კი აჩქარებს კრიზისს.*
3. არსებული სისტემა იწვევს თაობათა ანტაგონიზმს, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები არ არიან მოტივირებული სხვისი სარგებლის უზრუნველყოფისათვის. იგი მთლიანად არის აგებული ანტიკონსტიტუციური და ანტიჰუმანური იძულებითი სოლიდარობის პრინციპზე.

პენსიის თანხის ზრდა პირდაპირპროპორციულად იწვევს დღევანდელ გადამხდელთა მ.შ.: დამქირავებლისა და დაქირავებულისა - უკურეაქციას და წინააღმდეგობას.

4. პენსიის ოდენობა არ არის მიბმული პირის ანაზღაურებასთან, რაც იწვევს მისი ინიციატივის შემცირებას.
5. დემოგრაფიული ცვლილებები, რომლის მიმართულებაა საპენსიო ასაკის ადამიანთა რაოდენობის აბსოლუტური და ფარდობითი ზრდა. უკვე დღევანდელ დღეს საპენსიო გადასახადს იხდის უფრო ნაკლები ოდენობით ადამიანი, ვიდრე პენსიონერთა საერთო რიცხვია. ყველანაირი მცდელობა ამ თანაფარდობის გასაუმჯობესებლად განწირულია: მოსახლეობა “ბერდება”.
6. არსებული სოციალური გადასახადი (ე.წ. payroll tax):
  - ხელოვნურად ზრდის შრომის ღირებულებას,
  - ნეგატიურ ეფექტს ახდენს - დეზორიენტაციას უკეთებს შრომის ბაზარს,
  - ხელს უშლის რესურსების სწორად გამოყენებას.
7. სახელმწიფო საპენსიო ფონდი პირდაპირ არის დამოკიდებული პოლიტიკურ სიტუაციასა და ვნებებზე, რაც განაპირობებს მის არასტაბილურობას.
8. სახელმწიფო საპენსიო ფონდში მოსახლეობის სახსრების განთავსება ტოტალიტარული მართვის ერთ-ერთი მთავარი ბურჯია.
9. საპენსიო თანხების ერთ ფონდში მოქცევა, სახსრების, ანგარიშებისა და სარგებლის პერსონიფიკაციის გარეშე, პირდაპირ ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებას.
10. სახელმწიფო საპენსიო ფონდი კონკურენციის ქვეშ არ არის, რაც იწვევს მისი ეფექტიანობის დაბალ დონეს, ადმინისტრაციული ხარჯების ზრდას.

კერძო საპენსიო სისტემა მსოფლიოში განვითარდა თითქმის სახელმწიფო სქემის პარალელურად. თუმცა მისი დღევანდელი სახე შეიქმნა ჩილეში XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. ჩილეში ამოქმედებულ კერძო საპენსიო სქემას ჰქონდა სიახლეების დიდი რაოდენობა, რომელსაც ჩამოვთვლით. ეს სქემა აგებულია სამსაყრდენიან სისტემაზე, რომლის სიახლეს წარმოადგენდა კერძო სავალდებულო საპენსიო დაზღვევა. რაც შეეხება სახელმწიფო საპენსიო სქემას, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს სოციალურ საგარანტიო სისტემას მოხუცებისათვის, ის შემონარჩუნებულია მხოლოდ მინიმალური სასიცოცხლო სახსრების უზრუნველყოფისათვის. მოქმედებს ნებაყოფლობითი საპენსიო სქემაც, რომელიც თავისი ბუნებით ახლოსაა სიცოცხლის დაზღვევასთან და განვითარებულ ქვეყნებში ფაქტიურად მოქმედებდა მანამდეც.

რა თვისებები გააჩნია კერძო სავალდებულო დაზღვევის სქემას:

1. *კერძო ფონდების ეფექტიან მუშაობას უზრუნველყოფს:*
  - ფონდების სიმრავლე და მათ შორის მაღალი კონკურენცია,
  - ფონდების საქმიანობის მაღალი დონის გამჭვირვალება,
  - მაღალი სარეზერვო კაპიტალი, რისკის შესამცირებლად,
  - ფონდის არჩევისა და ანაბრების ანგარიშის გადატანის თავისუფლება.
2. *პენსიონერი იღებს პენსიას, რომელსაც ავროვებს, ე.ი. მისი პენსია პირდაპირაა მიბმული თავის დანაზოგებზე.*
3. *იზრდება მოქალაქის პასუხისმგებლობა მის საკუთარ პენსიაზე, რაც აიძულებს მას მოსთხოვოს დამჭირავებელს, მისი პირადი ანაზღაურების ლეგალიზაცია. ეს იწვევს ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომზეურებას, არამარტო შემოსავლების არამედ სხვა გადასახადების აკრეფის გაუმჯობესებასაც.*
4. *იზრდება მეანაბრეთა თავისუფლების ხარისხი მთავრობისაგან.*

5. კერძო სქემაში მონაწილე პირების პენსიები დამოკიდებულია მათს მუშაობაზე, და არა მთავრობის მიერ გადასახადის ამოღების შესაძლებლობაზე, და ასევე ნაკლებადაა დამოკიდებული ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

6. კერძო ფონდები დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან.

7. სახელმწიფო ჩარევა ეხება მხოლოდ ორ საკითხს:

- წესების დაწესება, მ.შ. საინვესტიციო პოლიტიკის რეგულირება,
- უკანასკნელი გარანტორის ფუნქცია.

8. ხდება ეროვნული დანახოვების ზრდა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ წინსვლას. საპენსიო ფონდების სახსრების ინვესტირება ხდება ანაბრებსა და ფასეულობებში, რაც ზრდის საინვესტიციო სახსრების ოდენობას.

9. კერძო ფონდები, მათ შორის მაღალი კონკურენციის პირობებში, სახელმწიფოზე უფრო ეფექტიანად გაუმკლავდებიან ინფლაციას.

10. საპენსიო დანახოვებზე, როგორც კერძო საკუთრებაზე, ვრცელდება მემკვიდრეობა.

11. მოხდება:

- ახალი ფინანსური ინსტრუმენტების სტიმულირება.
- ფინანსური სექტორის და კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელისშეწყობა.
- სადაზღვევო ბაზარის გაფართოება.
- კერძო სექტორის გაძლიერება.

I. როდესაც საპენსიო სისტემის პრივატიზებაზე მიდის საუბარი, იგულისხმება, რომ არსებულ სახელმწიფო სისტემას აღარ შეუძლია გაუმჯობესება. ვერასოდეს სახელმწიფო მენეჯმენტი ვერ შეედრება კერძოს, ეფექტიანობის თვალსაზრისით. როგორც აღნიშნულია ზემოთ არსებობს ორი გადაულახავი ბარიერი დღევანდელ სახელმწიფო სისტემაში:

- თაობათა იძულებითი სოლიდარობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ მოტივაციასა და სტიმულს და
- მოსახლეობის ფარდობითი დაბერება.

თუ ჩვენ უარყოფთ პირველ მათგანს და ჩავთვლით, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს მოსახლეობას გაუჩნდება უამრავი “ზედმეტი” სახსრები და მოყვასის განსაკუთრებული სიყვარული, მეორე მათგანს მხოლოდ ერთი რამ უშველის – შობადობის სასწრაფო ზრდა და მოხუცების იძულებით მიყვანა საიქიოს კარამდე. სტატისტიკა, რომელიც პრაქტიკულად ერთნაირია ყველა ქვეყანაში, გვინგებებს, რომ თუ ათეული წლების წინ საპენსიო “გადასახადის” გადამხდელთა ოდენობა 4-5 ჯერ აჭარბებდა პენსიონერთა რიცხვს, დღეს უმრავლეს ქვეყნებში ეს ოდენობა 1-ს მიუახლოვდა, ხოლო საქართველოში უკვე 1-ზე ნაკლები გახდა (პენსიონერთა რიცხვი 850 ათასი).

მთავრობას რეაქცია ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს ცხადია გადასახადის გაზრდა. თუმცა ასეთ გაზრდას ექნება ცუდი პერსპექტივა, რადგანაც, პირველი: უსასრულოდ მისი გაზრდა შეუძლებელია. მეორე: გადასახადის გაზრდა (მით უმეტეს ასეთი გადასახადის) გამოიწვევს გადამხდელთა უკურექციას (რაც მთავარია, ასეთი რეაქცია აქვთ სოლიდარულად, როგორც დამქირავებელს, ასევე დაქირავებულსაც.)

ცხადია შედეგიც: მთავრობა ზრდის გადასახადებს, სახსრების ოდენობა არ იზრდება, ხოლო ვალები პენსიონერთა მიმართ სწრაფად იზრდება. შეკრული წრე სახეზეა. გამოსავალი ერთია, მოსახლეობა იძულებული უნდა გახდეს იზრუნოს საკუთარ მომავალზე – გაიღოს სახსრები საკუთარი სიბერის უზრუნველყოფისათვის. თუ ასეთი პასუხისმგებლობა თვით მოსახლეობას არ დაეკისრა, უახლოეს ხანებში საპენსიო სქემაში რაიმე სახსრების მიმართვა შეუძლებელი გახდება.

რაც შეეხება გამოცდილებას, ამგვარი კერძო სისტემა პირველად ამუშავდა ჩილეში, სადაც მოსახლეობას მისცეს ფართო არჩევანი დარჩენილიყვნენ სახელმწიფო საპენსიო სქემის ფარგლებში ან გადასულიყვნენ კერძოში. 20 წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას (თუმცა ეს უკვე ჩანდა რეფორმის პირველ წლებშიც), რომ კერძო სისტემამ სრული გამარჯვება იხეიმა, იგი მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტმა აირჩია.

ყველაზე აქტუალური კითხვა, რაც დგება კერძო სისტემის დანერგვის დროს, არის დაკავშირებული გარანტიებთან, რომელიც ექნება მოქალაქეს კერძო საპენსიო სისტემაში ფულის განთავსების შემთხვევაში. ეს გარანტიებია:

- რეგულირების დახვეწილი სისტემა,
- მაღალი საწესდებო და სარეზერვო კაპიტალის მოთხოვნა,
- კერძო ფონდებს შორის არსებული კონკურენცია,
- საპენსიო ანაბრის გადატანის საშუალება უფრო ხელსაყრელ ფონდში,
- ფართო არჩევანი,
- სისტემის მოქმედების მაღალი გამჭვირვალება,
- საპენსიო სახსრების განთავსების უკეთესი არჩევანი.

მარტივი დასანახია, რომ კერძო ფონდებში, თუნდაც უბრალოდ მყარ ვალუტაში გადაყვანილი სახსრები, გაცილებით მაღალი გარანტიით შეინახება, ვიდრე სახელმწიფოს მიერ, რომელიც თვითონ არის ინფლაციის შემოქმედი.

ამის გარდა, ჩვენს პირობებში კერძო საპენსიო სისტემის ამოქმედებამ სტიმული უნდა მისცეს მოქალაქეთა რეალური შემოსავლების ლეგალიზაციას. არის ორი მიზეზი ამის მარტივად ასახსნელად:

1. ამ შემთხვევაში მოქალაქე თვითონ ხდება საპენსიო სქემაში გადარიცხული სახსრების მესაკუთრე და ამავე დროს, თავის სიბერეზე პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე იგი თვითონ იქნება დაინტერესებული “ამოიღოს” ეს გადასახადი და გადარიცხოს.
2. იმ შემთხვევაში, თუ კერძო საპენსიო შენატანები შევა ხარჯებში, და ამავე დროს შემცირდება მისი ზომა, ტვირთი პროლუქციის ფასზე შემცირდება და მეწარმისათვის უკვე არსებითად ღირებული აღარ იქნება მისი დამატება.

ამავე მოდელიდან გამომდინარეობს მისი დადებითი ფისკალური ეფექტი – საშემოსავლო და დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ბაზის გაზრდის გამო.

ძირითადი არგუმენტები კერძო საპენსიო რეფორმის განხორციელების წინააღმდეგ არსებობს ასეთი:

- I. საპენსიო დავალიანებები.
- II. დღევანდელი პენსიონერები და ისინი, ვინც ახალ სისტემაში ვერ “ჩაეწერებიან”.
- III. კერძო საპენსიო ფონდების მაღალი შიდა დანახარჯები ადმინისტრირებაზე და მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი შემოსავლები.

რაც შეეხება I-ს, აქ საკითხი ნათელია. ჯერ ერთი, დავალიანებების შემცირების ტენდენცია არ არსებობს და არც მოსალოდნელია იარსებოს ამ ფინანსური სისტემის პირობებში.

მეორე, სახელმწიფო ადმინისტრაცია, როგორც წესი ყველაზე მეტად სუსტია საფინანსო მენეჯმენტში. ეს ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ხერხდება მაღალი კლასის ფინანსური მენეჯერების მოზიდვა, არამედ იმიტომაც, რომ მთავრობა არ მოქმედებს ტრადიციული კონკურენციის წესებითა და პირობებში, აქედან გამომდინარე არ არის იმდენად მოქნილი, რამდენადაც ბაზარი მას უნდა აიძულებდეს. შედეგად მუდმივი ზარალი.

მესამე, მთავრობის ხელში ასეთი ოდენობის სახსრების არსებობა დიდი ცდუნებაა მისთვის, რომ მან იგი მუდმივად დეფიციტის დასაფარად გამოიყენოს. ეს საკითხი განსაკუთრებულად ეხება საქართველოს. მით უმეტეს, მოსალოდნელობა იმისა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციამ ამ სახსრებს ინდექსაცია გაუკეთოს, ინფლაციის დროს, პრაქტიკულად არ არსებობს და თეორიულადაც მიუღებელი იქნებოდა.

მოსალოდნელობა იმისა, რომ სახელმწიფო საპენსიო და მთლიანად ფინანსური სისტემა ახალ დავალიანებებს შექმნის მოსახლეობის და მათ შორის პენსიონერთა მიმართ, მაღალია. ასეთი დავალიანებები აუცილებლად მიგვიყვანს აეს-ის მიერ თელასის შესყიდვის ანალოგიურ პროცესამდე, როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაციას უკვე აღარ ძალუძს და შიდა ინვესტორებს კი არ გააჩნიათ მისი გადარჩენის სახსრები.

II. დღევანდელი პენსიონერები და ვინც ახალ სისტემაში ვერ ჩაეწერებიან, ამ რეფორმის ყველაზე მტკივნეული ნაწილია. საქართველოს სახელმწიფო (მთლიანად, ადმინისტრაციაც და საზოგადოებაც) პასუხისმგებელია ამ ხალხის მიმართ მათთვის (საპენსიო) დანაზოგების გაუფასურებისა და დაკარგვის გამო. ეს ის ხალხია ვინც იკისრა დამოუკიდებლობის მთელი ხარჯი. აქედან გამომდინარე უნდა შესრულდეს შემდეგი: დაენიშნოს მათ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი მინიმუმის ტოლი ანაზღაურება – კომპენსაცია, რომელსაც არ შეიძლება უბრალოდ პენსია ერქვას. ამ რესურსის საშუალება უნდა გამოინახოს მისი ცენტრალური ბიუჯეტის მთავარ პრიორიტეტად გადაქცევის გზით და დაიფაროს არა სოციალური “გადასახადით”, არამედ სხვა სახაზინო შემოსავლებით, მ.შ. საგადასახადო (მაგ. დ.დ.გ.) და არასაგადასახადო. შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური ფონდი ხაზინაში – გარდამავალი პერიოდის დაზარალებულებისათვის, საიდანაც დაიფარება სასიცოცხლო მინიმუმამდე თანხის შევსების კომპენსაცია დღევანდელი საპენსიო ასაკის ადამიანებისათვის და მათთვის, ვისაც საპენსიო რეფორმა არ შეეხება.

III. კერძო საპენსიო სქემებს ხშირად უყენებენ ბრალდებას მისი ადმინისტრაციული ხარჯების ზომის გამო, მით უმეტეს, როდესაც მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილის შემოსავლები არ იძლევა საშუალებას დაფაროს ეს ხარჯები.

1. *მოსალოდნელობა კერძო ფონდების მიერ ხარჯების შემცირებისათვის, მაღალი დონის კონკურენციისა და საჯაროობის დროს გაცილებით უფრო დიდია. ასეთი მოტივი სახელმწიფოს საერთოდ არ გააჩნია!*
2. *იდეალურ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხატჯები სახელმწიფო თუ კერძო შემთხვევაში თანაბარია.*
3. *თუ აპელირება ხდება სახელმწიფო ფონდის დაბალ ადმინისტრაციულ ხარჯებზე დღევანდელი მოდელით, ეს, რბილად რომ ვთქვათ საეჭვოა, რადგანაც იგი ეყრდნობა ამ სისტემაში არსებულ დაბალ ხელფასებს, რომელიც მინიმუმ წარმოშობს დაბალ ეფექტიანობას და მაქსიმუმ კორუფციას, რაც სახეზეა. ეს ორივე, ერთი შეხედვით, არ წარმოადგენს პირდაპირ დანახარჯებს, მაგრამ სინამდვილეში უფრო დიდი დანაკარგია ვიდრე ნებისმიერი კერძო ფირმის მიერ სპეციალურად, ხარჯების გაბერვით ნახვენები თანხები.*

გამოსავლად ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას შერეული სისტემა, რომელიც იქნა აპრობირებული პოლონეთში. დღევანდელი პენსიონერები იღებენ კომპენსაციას ზემოთ აღწერილი სქემით. რეფორმას “მოსწრებული” პირები აკეთებენ არჩევანს – ან მიდიან კერძო ფონდში და ან ეყრდნობიან საკომპენსაციო სქემას.

საკომპენსაციო სქემაში მონაწილეობა უნდა შეეძლოს იმ პირსაც, ვინც კერძო სქემიდან ვერ იღებს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საკმარის თანხას, ამ ბოლოს შესავსებად. ეს სქემა უნდა შეჩერდეს 15-20 წლის ვადაში.

რეფორმის განხორციელება უნდა დაიწყოს პირველ რიგში მისი თეორიული, იურიდიული და ფინანსური დასაბუთების შექმნით. ამ მასშტაბის ფინანსური ღონისძიების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყველა დეტაილს სკურპულოზურად გათვლის შედეგად.